საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2014/2015 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე კონკურსის წესით ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2014 წლის 7 აგვისტოს №147 ბრძანების თანახმად, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მაგისტრატურაში სწავლების პირველ წელზე ჩარიცხვის მსურველთა საბუთები მიიღება 2014 წლის 1 სექტემბრიდან 10 სექტემბრის ჩათვლით შესაბამისი ფაკულტეტების დეკანატებში.

მაგისტრატურაში ჩარიცხვის მსურველთა მიერ წარმოსადგენი საბუთები:

1. განცხადება რექტორის სახელზე ფაკულტეტისა და სამაგისტრო პროგრამის მითითებით;
2. პირადობის მოწმობა და მისი ასლი;
3. აკადემიური უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი და მათი ასლები;
4. ფოტოსურათი 4 ცალი, ზომით 3 x4 სმ;
5. მიწერის მოწმობა და მისი ასლი, ან სამხედრო ბილეთი და მისი ასლი (სამხედრო ვალდებულთათვის);
6. მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ სამაგისტრო გამოცდებზე მიღებული ქულების ამონაბეჭდი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის საიტიდან (www.naec.ge);
7. თი-ბი-სი ბანკის რომელიმე ფილიალში გადახდილი 15 - ლარიანი ქვითარი.

ზემოჩამოთვლილი დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში აპლიკანტის განცხადება არ მიიღება. საბუთების პირველადი შემოწმება ხდება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში. შემოწმების შემდეგ საბუთების დედნები უბრუნდება წარმომდგენს.

დეკანატის მიერ ვიზირებულ განცხადებას, საბუთებთან ერთად, აპლიკანტი აბარებს სტუ-ს კანცელარიას;

სტუ-ს სამაგისტრო პროგრამებზე კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვს აპლიკანტს, რომელსაც საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის ოთხი ნაწილიდან რომელიმე სამ ნაწილში მაინც გადალახული აქვს დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ანუ მითითებულ ზღვარზე მეტი ქულა აქვს მიღებული;

საერთო სამაგისტრო გამოცდების ტესტების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი შეადგენს:

- წაკითხულის გააზრება - 6,9 ქულა
- ანალიტიკური წერა - 6,0 ქულა
- ლოგიკური მსჯელობა - 5,1 ქულა
- რაოდენობრივი მსჯელობა - 5,0 ქულა

მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გადალახულია:

- წაკითხულის გააზრება - 7,0 ქულა
- ანალიტიკური წერა - 7,0 ქულა
- ლოგიკური მსჯელობა - 5,2 ქულა
- რაოდენობრივი მსჯელობა - 5,2 ქულა

აპლიკანტმა უნდა ჩააბაროს სასპეციალიზაციო გამოცდა შესაბამის საგანში. საგამოცდო ფურცელში, რომელიც გაიცემა ფაკულტეტებზე, მითითებულია გამოცდის თარიღი და ადგილი. კონსულტაციები სასპეციალიზაციო გამოცდებისათვის ჩატარდება შესაბამისი ფაკულტეტების აკადემიურ დეპარტამენტებში.

სამაგისტრო პროგრამებზე ჩარიცხვის უფლების მოსაპოვებლად აპლიკანტმა სასპეციალიზაციო გამოცდაში ასევე უნდა გადალახოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

სასპეციალიზაციო გამოცდისათვის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი ყველა სამაგისტრო პროგრამაზე არის 31 ქულა (შესაძლო მაქსიმალური 100 ქულიდან), მინიჭებული კოეფიციენტი – 65.

2014/2015 სასწავლო წელს სამაგისტრო პროგრამებზე კონკურსის წესით ჩასარიცხად გამოყოფილია სულ 983 ადგილი, მათ შორის:

1. სამშენებლო ფაკულტეტზე - 70;
2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე - 75;
3. სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე - 42;
4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე - 42;
5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე - 64;
6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე - 40;
7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე - 370;
8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე - 225;
9. დიზაინის საერთაშორისო სკოლაში -10;
10. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტზე - 45.

სამაგისტრო პროგრამების და საგამოცდო ტესტების ნიმუშების გაცნობა შესაძლებელია სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის ვებგვერდზე http://www.gtu.ge/Study-Dep/